მსაჯთა ბრიგადა: ბრუმაიერი, ხოლცმანი, ლოიდლი (ყველა ავსტრიიდან). უეფას წარმომადგენელი ჰილდსტრუპი (დანია).

**СУДЕЙСКАЯ БРИГАДА:** Брумайер, Хольцман. Лоидл (все Австрия). Представитель УЕФА Хильдструп.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
პროპაგანდის კომისია
თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

შემდგენელი ო. გველესიანი

ტექრედაქტორი მ. ლობჟანიძე, გამომშვები ა. სამხარაძე
მხატვარი ა. საქაგლიშვილი

**4 (126)**

ფასი 27 კაპ.

შეკვ. № 827 ტირაჟი 20 000 უე 09164

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

# თასების მფლობელთა თასი
## ნახევარფინალური მატჩი

# „დინამო“

**«ДИНАМО»**
**(ТБИЛИСИ, СССР)**

**«СТАНДАРД»**
**(БЕЛЬГИЯ)**

# „სტანდარდი“

**7. IV. 82**

დასაწყისი 19 საათზე

КЛИСФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# სალამი ბელგიელ ფეხბურთელებს!

დიდი ფეხბურთის დღეა ევროპაში, საფეხბურთო ოთხშაბათი მასპინძლობს ევროპის ყველა ტურნირის პირველ ნახევარფინალურ მატჩებს.

დიდი ფეხბურთის დღეა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, ფეხბურთის მოყვარულნი კარგა ხანია ელოდნენ ამ დღეს. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი მართლაც, რომ განსაკუთრებულ მატჩს მასპინძლობს — ესაა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი თბილისის „დინამოსა" და ბელგიის „სტანდარტს" შორის, ასეთი რანგის მატჩი „დინამოს" სტადიონზე ჩვენი დინამოელების მონაწილეობით მეორედ ტარდება, ალბათ ყველას კარგად ახსოვს რომ თითქმის ზუსტად ერთი წლის წინ, 1981 წლის 8 აპრილს თბილისის „დინამომ" ბრწყინვალედ ჩაატარა ნახევარფინალური მატჩი როტერდამის „ფეიენორდთან" და გაიმარჯვეს 3:0. დღეს კი... დღეს ჩვენი საყვარელი გუნდი ისევ ნახევარფინალშია და გვინდა მთელი გულით მივულოცოთ ეს წარმატება 1981 წლის თასების თასის მფლობელს თბილისის „დინამოს" და ვუსურვოთ კვლავ გაემეორებინოს შარშანდელი სიხარული...

დღეს ჩვენ მივესალმებით ევროპის ერთ-ერთ სახელმოხვეჭილი კლუბის ბელგიის „სტანდარდის" ფეხბურთელებსა და მათს გულშემატკივრებს, მივესალმებით მსაჯებსა და უეფას წარმომადგენლებს თბილისის „დინამოს" სტადიონის მრავალათასიან სტუმრებს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სტადიონზე!..

— დაე ლამაზი და სამახსოვრო იყოს დღევანდელი დღე — გამორჩეული ლამაზი და საინტერესო ფეხბურთით, ორი მაღალტექნიკური გუნდის რაინდული შერკინებით ღირსეული ვაჟკაცური გამარჯვების სიხარულით.

ასეთ ფეხბურთს მოელის ასეულ ათასობით ფეხბურთის გულშემატკივარი.

ლამაზ ფეხბურთს გისურვებთ მეგობრებო!

**ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ ФУТБОЛИСТЫ И БОЛЕЛЬЩИКИ «СТАНДАРДА» В ТБИЛИСИ!**




## ბელგია

ბელგიის სახელმწიფო მდებარეობს დასავლეთ ევროპაში. მას სამხრეთ დასავლეთით ესაზღვრება საფრანგეთი, ჩრდილოეთით ნიდერლანდები. აღმოსავლეთით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ლუქსემბურგის ტერიტორიები, ბელგიას ჩრდილო დასავლეთით აკრავს ჩრდილოეთის ზღვა. მისი საერთო ფართობი 30,5 ათასი კვადრატული კილომეტრია, ხოლო მოსახლეობა ათ მილიონს აღემატება.

დედაქალაქია ბრიუსელი. მოსახლეობის სიმჭიდროვით ბელგიას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 318 კაცია, ხოლო ბრიუსელის მიმდებარე ზოლში

ბელგია კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოა საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, სახელმწიფოს მეთაურია მეფე.

ეკონომიკური თვალსაზრისით ბელგია განეკუთვნება ევროპის ინდუსტრიულ მაღალგანვითარებულ პატარა კაპიტალისტურ ქვეყანას.

ВИДЕО: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# „СТАНДАРД"— СЕЗОН НАДЕЖД

Небольшой и уютный, утопающий в зелени город Льеж с населением более 150 тысяч человек расположен в восточной части Бельгии. Он ведет тихую и мирную жизнь, нарушают которую лишь взрывы футбольных страстей. В день матча сорокатысячный стадион «Окалессе» не может вместить всех желающих и превращается в кипящую чашу. Видимо таким будет он и 21 апреля, когда здесь будут играть тбилисские динамовцы. Этот стадион принадлежит местному клубу «Стандард».

Достаточно назвать, что на чемпионате мира-70 в Мексике за сборную Бельгии выступали восемь игроков из «Стандарда» во главе с одним из лучших полузащитников в истории мирового футбола Ван Муром. На чемпионате Европы 1980 года бельгийские футболисты завоевали серебряные награды. В той команде выступали пять игроков из этого клуба. Сейчас сборная Бельгии в числе финалистов испанского чемпионата мира. Среди тех, кто будет выступать на этом турнире могут оказаться по крайней мере четыре футболиста «Стандарда».

Первый большой успех «Ружи» праздновали в 1958 году, когда они впервые победили в чемпионате страны, нарушив гегемонию столичных клубов, в первую очередь знаменитого «Андерлехта».




Играет капитан команды Эрик Геретс (слева).






С тех пор началось острое соперничество между этими командами, длившиеся почти десять лет. За это время «Стандард» еще дважды победил в чемпионате и три раза владел Кубком Бельгии. А с 1969 года футболисты из Льежа окончательно захватили лидерство, став трижды подряд чемпионами Бельгии (всего «Стандард» шесть раз становится сильнейшим в своей стране и пять раз выигрывал Кубок Бельгии).

Команда имеет большой опыт участия в международных турнирах.

Что же представляет собой на сегодняшний день соперник тбилисского «Динамо»?

В канун нового сезона состав «Стандарда» претерпел ряд изменений, причем существенных. Перешел в «Андерлехт» защитник Ренкин, игрок сборной страны, а нападающий Велленс — в «Брюгге». Покинули ряды клуба и два иностранца — полузащитник сборной Исландии СигурЙонссон и форвард шведской сборной Эдстрем. Тренер «Стандарда», известный специалист Раймонд Гуталс, приложил немало усилий, чтобы найти достойную замену ушедшим, и, судя по всему, это ему удалось.

Два опытных футболиста прибыли в льежский клуб из «Андерлехта»: защитник Дусбаба нопытнейший полузащитник Хаан. Его имя хорошо известно любителям футбола по выступлениям в сборной Голландии. Сейчас Ари Хаану 34, но, как недавно заметил один из бельгийских журналистов, именно рассудительная игра «Старого волка» Ари позволила льежцам добиться взаимопонимания и сплоченности во всех линиях. Вписался в игровой ансамбль и еще один новичок клуба — защитник Вальтер Меувс,



НА СНИМКЕ: Сборная команда Бельгии.

выступавший прежде за «Брюгге». Меувс — игрок сборной Бельгии — отлично подготовлен технически и физически. У этого 32-летнего лидера обороны «Стандарда», как считают, есть только один недостаток. Он слишком редко подключается в атаку.

Вместе с Меувсом линию обороны «Стандарда» составляют опытный 30-летний Тео Поэмь, 24-летний высокорослый (185 см) Клод Дарден, который активно принимает участие в атакующих действиях команды, умело играя головой. 28-летний Эрик Геретс, шестой год защищающий цвета национальной сборной, обладает высокой скоростью, нередко сам начинает атаку из глубины обороны и не только начинает, но и подчас успешно завершает ее. Геретс, как и Дарден, высокого роста (182 см) и выиграть воздушную дуэль у этих защитников форвардам команд-соперниц бывает очень нелегко.

В средней линии помимо Хаана следует, пожалуй, выделить еще достаточно молодых 23-летних Ги Вандермиссена и Жерара Плессера, хорошо физически сложенных, играющих в активной, силовой манере.

Среди нападающих внимание прежде всего привлекает 25-летний Симон Тахамата, входящий в состав голландской сборной. В прошлом сезоне этот миниатюрно сложенный (рост 164 см, вес 65 кг) футболист больше играл в полузащите, сейчас же после ухода Велленса, Эдстрема и Сигурйонссона он почти неизменно выходит на поле в линии нападения.

И, наконец, несколько слов о вратаре «Стандарда». Ворота команды защищает 23-летний Мишель Предомм. При своем росте в 184 см он уверенно вступает в верховую борьбу в штрафной площадке, обладает отличной реакцией. Предомм — основной вратарь молодежной сборной Бельгии и запасной в национальной сборной. Причем, как считают обозреватели, уже в ближайшем будущем Предомм, по-видимому, окончательно займет пост вратаря сборной Бельгии, так как его простая манера игры, хотя и менее эффектна нежели у нынешнего голкипера — Пфаффа из «Беверена», зато более надежна.

| «დინამო» (თბილისი, სსრკ) | | «სტანდარდი» (ბელგია) |
|---|---|---|
| ოთარ გაბელია | 1 | მიშელ პრედომი |
| კარლო მჭედლიძე | 2 | ერიკ გერეტსი |
| ალექსანდრე ჩივაძე | 3 | ვალტერ მეუვსი |
| თენგიზ სულაქველიძე | 4 | ვან ენგლებერტი |
| ნოდარ ხიზანიშვილი | 5 | ბენი გოელი |
| შოთა ხინჩაგაშვილი | 6 | ჟერარ პლესერსი |
| ვიტალი დარასელია | 7 | გი ვანდერმისენი |
| ზაურ სვანაძე | 8 | კლოდ დარდენი |
| დავით ყიფიანი | 9 | თეო პოემი |
| ვაჟა ჟვანია | 10 | არი ჰაანი |
| ვლადიმერ გუცაევი | 11 | სიმონ ტაჰამატა |
| რამაზ შენგელია | 12 | ჟორჟ ლეკლო |
| ნუკრი კაკილაშვილი | 13 | ვიმ სააკია |
| დავით მუჯირი | 14 | შარლ ვოორდეკერსი |
| გრიგოლ ცაავა | 15 | ჰარი დიუსბაბა |

გუნდის კაპიტანი ა. ჩივაძე
უფ. მწვრთნელი ნ. ახალკაცი,

გუნდის კაპიტანი ე. გერეტსი
უფ. მწვრთნელი რ. გუტალსი




სურათზე: — ბელგიის ქ. ლიეჟის ფეხბურთელთა გუნდის „სტანდარდის" ფეხბურთელები (სხედან) მარცხნიდან მარჯვნივ ტაჰამატა, ვოორდეკერსი, ენგლებერტი, ლეკლო, გოდარტი, პრედომი, ჩიასკა დელბრუკი, გრაფი, დელანჟი, (დგანან) მასაჟისტი ჰული, კლესერსი, სემელინგი, დიუსბაბა, დარდენი, მეუვსი, გერეტსი, ვანდერმისენი. ჰაანი, ვენდტი, მწვრთნელი გუტალსი.

| «ДИНАМО» (ТБИЛИСИ, СССР) | | «СТАНДАРД» (БЕЛЬГИЯ) |
|---|---|---|
| ОТАР ГАБЕЛИЯ | 1 | МИШЕЛЬ ПРЕДОМ |
| КАРЛО МЧЕДЛИДЗЕ | 2 | ЭРИК ГЕРЕТС |
| АЛЕКСАНДР ЧИВАДЗЕ | 3 | ВАЛЬТЕР МЕУВС |
| ТЕНГИЗ СУЛАКВЕЛИДЗЕ | 4 | ВАН ЕНГЛЕБЕРТ |
| НОДАР ХИЗАНИШВИЛИ | 5 | БЕНИ БОЕЛ! |
| ШОТА ХИНЧАГАШВИЛИ | 6 | ЖЕРАР ПЛЕСЕРС |
| ВИТАЛИ ДАРАСЕЛИЯ | 7 | ГИ ВАНДЕРМИСЕН |
| ЗАУР СВАНАДЗЕ | 8 | КЛОД ДАРДЕН |
| ДАВИД КИПИАНИ | 9 | ТЕО ПОЭМЬ |
| ВЛАДИМИР ГУЦАЕВ | 10 | АРИ ХАОН |
| ВАЖА ЖВАНИЯ | 11 | СИМОН ТАХАМАТА |
| РАМАЗ ШЕНГЕЛИЯ | 12 | ЖОРЖ ЛЕКЛО |
| НУКРИ КАКИЛАШВИЛИ | 13 | ВИМ СКАСКИА |
| ДАВИД МУДЖИРИ | 14 | ШАРЛ ВООРДЕКЕРС |
| ГЕОРГИЙ ЦАВА | 15 | ГАРИ ДУСБАБА |

Капитан команды А. Чивадзе
Ст. тренер Н. Ахалкаци

Капитан команды Э. ГЕРЕТС
Ст. тренер Р. ГУТАЛСИ

# გზა ევროპულ ტურნირებში

● „სტანდარდის" დებიუტი ევროპულ ტურნირებში 1958 წელს — ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შედგა, სადაც მან თანმიმდევრობით დაამარცხა შოტლანდიის „ჰარტს ოფ მიდლოტიანი" — 5:1, 1:2, პორტუგალიის „სპორტინგი" — 3:2, 3:0, მეოთხედფინალში კი დამარცხდა საფრანგეთის „სტად დე რეიმსთან" — 2:0, 0:3.

● წარმატებით ითამაშა „სტანდარტმა" თასების თასის 1966-67 წლების გათამაშებაში, სადაც დაამარცხა ისლანდიის „ვალიური" — 1:1, 8:1, კვიპროსის „აპოლონი" — 5:1, 1:0, გდრ-ის „ჰემი" — 1:2, 1:0, უნგრეთის „დიერი" — 1:2, 2:0 და ნახევარფინალში წააგო თასის მომავალ მფლობელთან, მიუნხენის „ბაიერნთან" — 0:2, 1:3.

● 1973 წელს „სტანდარდს" დებიუტი ჰქონდა უეფა-ს თასის გათამაშებაში. აქ მან დაამარცხა ჩრდილო ირლანდიის „არდსი" — 2:3, 6:1, რუმინეთის „უნივერსიტატეა" — 2:0, 1:1 და მერვედფინალში დამარცხდა ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან, როტერდამის „ფეიენოორდთან" — 3:1, 0:2.

● ოთხი წლის შესვენების შემდეგ „სტანდარდმა" კვლავ მიიღო მონაწილეობა უეფა-ს თასის 1977-78 წლების გათამაშებაში, სადაც ასევე მეოთხედფინალში დამარცხდა ჩვენთვის კარგად ცნობილ „კარლ ცაისთან" — 0:2, 1:2.

● 1978-79 წლების უეფა-ს თასის გათამაშებაში „სტანდარდი" უკვე მეორე წრეში დამარცხდა ინგლისის „მანჩესტერ სიტისთან"— 2:0, 0:4.

ასევე წარუმატებლად ითამაშა „სტანდარდმა" უეფა-ს თასის 1979-80 წლების გათამაშებაში, სადაც მერვედფინალში დამარცხდა ჩეხოსლოვაკიის „ზბროიოვკასთან" — 1:2, 2:3.

● შედარებით წარმატებით ითამაშა „სტანდარდმა" უეფა-ს თასის 1980-81 წლების გათამაშებაში, სადაც თანმიმდევრობით დაამარცხა რუმინეთის „სტიაუა" — 1:1, 2:1, გფრ-ის „კაიზერსლაუტერნი" — 2:1, 2:1, დრეზდენის „დინამო" — 1:1, 4:1, და მეოთხედფინალში არაობიექტური მსაჯობის წყალობით დამარცხდა გფრ-ის „კიოლნთან" — 0:0, 2:3.

● 1981 წელს „სტანდარდმა" მეხუთეჯერ თავის არსებობის ისტორიაში მოიგო ბელგიის თასი და თასების თასის წლევანდელ გათამაშებაში უდავოდ ერთ-ერთი ფავორიტია. პირველ წრეში „სტანდარტმა" ადვილად დაამარცხა მალტის „ფლორიანა" — 3:1, 9:0, მეორე წრეში ბელგიელებმა უნგრეთის „ვაშაშს" სძლიეს, მეოთხედფინალში კი „პორტო" დაამარცხეს — 2:0, 2:2.

КЛИСФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"



დღეს ევროპის
სტადიონებზე
დიდი ფეხბურთის
დღეა:
ჩემპიონთა თასის
თასების თასის
და
უეფას თასის
ნახევარფინალური
მატჩები
უნდა გაიმართოს
ჩვენი ყურადღება
განსაკუთრებით
თასების თასის
ნახევარფინალური
მატჩებისაკენაა
მიმართული:
„დინამო" თბილისი —
„სტანდარდი" ბელგია
„ტოტენჰემი" ინგლისი—
„ბარსელონა" ესპანეთი
როგორ დამთავრდება
ეს საინტერესო მატჩები?

## „სტანდარდი" (ბელგია)

მისი სრული სახელწოდებაა „სტანდარდ კლუბ ლიეჟი". იგი ერთ-ერთი უძველესი გუნდია ბელგიაში, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში — 1896 წელს. კლუბის სტადიონი ლიეჟში „სკლესენის" დაახლოებით 43 ათას მაყურებელს იტევს. „სტანდარდი" ჯერ კიდევ 30-იან წლებში რამდენჯერმე იყო თავისი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი და მესამე ადგილის მფლობელი, 1958, 1961, 1963, 1969, 1970, 1971 წლებში ბელგიის ჩემპიონია, არაერთგზის ფლობდა თავისი ქვეყნის თასს. კლუბმა ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ხუთჯერ — თასების მფლობელთა თასისა და ამდენივეჯერ — უეფა-ს თასის გათამაშებაში, სხვადასხვა დროს ბელგიის ამ კლუბს წვრთნიდნენ ფრანგები ჰუსი და პრუფი, უნგრელი კალოჩაი და სხვები.

„სტანდარდის" შემადგენლობაში წარსულ წლებში გამოდიოდნენ მაღალი კლასის, ძლიერი ფეხბურთელები, ბელგიის ნაკრების წევრები და უცხოეთიდან მოწვეული მოთამაშეებიც. ცნობილია ცენტრალური თავდამხსმელის კაპელის, მეკარე პიოს, მცველებისა და ნახევარმცველების ჟეკის, დევალკის, ვან მურის, ტისენის, სემელინგისა და სხვათა სახელები. უცხოელ ფეხბურთელთაგან აღსანიშნავი ლუქსემბურგელ პილოს, იუგოსლაველებს ტაკაჩსა და პეტროვიჩს, შვედ სვენსონს, ჩეხოსლოვაკიელ ცვეტლერს და სხვებს.

## „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ინგლისი)

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს" წლეულს საზეიმო იუბილე აქვს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. ასეთ დიდ ისტორიას ბევრი ვერ დაიტრაბახებს. „ტოტენჰემი" იყო ინგლისის ჩემპიონი (1951, 1961 წლები), ინგლისის თასის მფლობელი (1901, 1921, 1961, 1962, 1967, 1981 წ. წ.), ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1962 წელს). საინტერესოა, რომ ევროპულ ტურნირებში მრავალგზის მონაწილეობის მიუხედავად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლონდონელებს საკუთარ „უაიტ ჰართ ლეინის" სტადიონზე წაეგოთ (იტევს 62 ათას მაყურებელს).

1981-82 წლების სეზონი „ტოტენჰემმა" წარმატებით დაიწყო, გავიდა თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში და ინგლისის ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობასაც ინარჩუნებს.

თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებაში ლონდონელებმა სძლიეს ამსტერდამის „აიქსს" ((3:1, 3:0), ირლანდიის „დანდალკს" (1:1, 1:0) და მაინის ფრანკფურტის „აინტრახტს" (2:0, 1:2).

„აინტრახტთან" მეოთხედფინალურ მატჩებში. გუნდმა ლონდონში ითამაშა ასეთი შემადგენლობით: კლემენსი, პერიმენი, მილერი, პრაისი, ჰაჯტონი, არდილესი, ჰოდლი, გალვინი, კროქსი (ფალკო), ჰაზარდი, არჩიბალდი.

## „ბარსელონა" (ესპანეთი)

კლუბი დაარსდა 1899 წელს, თამაშობს „ნოუ კამპის" სტადიონზე, რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ 132.000 მაყურებელს იტევს.

„ბარსელონა" ესპანეთის ცხრაგზის ჩემპიონია (1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974 წლები) და თასის 11-გზის მფლობელი (1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981 წლები). ესპანეთში უფრო მეტი მიღწევა მხოლოდ მადრიდის „რეალს" აქვს.

თვალსაჩინოა „ბარსელონას" წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზეც. 1961 წელს იგი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისტი იყო (წააგო ლისაბონის ბენფიკასთან" — 2:3), 1969 წელს — თასების მფლობელთა თასის ფინალისტი (წააგო ბრატისლავის „სლოვანთან" — 2:3), 1979 წელს დაეუფლა თასების მფლობელთა თასს (დამატებით დროში დიუსელდორფის „ფორტუნას" სძლია — 4:3), სამჯერ ფლობდა ე. წ. „საბაზრო ქალაქების" თასს (1958, 1960 და 1966 წლებში), ერთხელ კი ამ შეჯიბრების ფინალისტი იყო.

„ბარსელონას" წარმატებები ძირითადად დაკავშირებულია განთქმულ მწვრთნელ ელ. ერერას სახელთან.

თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებაში „ბარსელონამ" სძლია პლოვდივის „ტრაკიას" — 4:1, 0:1, პრაღის „დუკლას" — 0:1, 4:0 და ლაიფციგის „ლოკომოტივს"—3:0, 1:2.

# „სტანდარდი“ და მისი მეტოქენი

ბელგიის საფეხბურთო ჩემპიონატში ტრადიციულად 18 გუნდი მონაწილეობს. რეგლამენტი ასეთია: თამაშობენ 2 წრედ, აგვისტოდან მაისამდე, ზამთრის შესვენების გარეშე. ყოველ გუნდს ნება აქვს ნებისმიერი რაოდენობის უცხოელი მოთამაშე იყოლიოს, მაგრამ ერთ მატჩში ერთდროულად სამზე მეტს ვერ გამოიყვანს მინდორზე. თბილისის „დინამოს“ მეტოქის — ლიეჟის „სტანდარდის“ ხელმძღვანელობას შარშან ამ მხრივ დიდი არჩევანი ჰქონდა: აქ თამაშობდნენ შვედები ედსტრიომი და ვენდტი, თურქი ონალი, ისლანდიელი სიგურიონსონი, ჰოლანდიელი ტაჰამატა, დასავლეთ-გერმანელი გრაფი. ახალი სეზონიდან მწვრთნელმა რ. გუტალსმა ერთდროულად 4 უცხოელი დაითხოვა.

თუ გადავხედავთ ბელგიის ჩემპიონატის მატჩებს, ტურების მსვლელობას, დავრწმუნდებით, რომ „სტანდარდი“ თანდათან აუმჯობესებს თამაშს. კარგა ხანს ლიდერობდა გენტის „ლა განტუაზი“. ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ გენტელები პირველ ლიგაში 1980 წელს გამოჩნდნენ და საბოლოოდ მე-12 ადგილი დაიკავეს. ახლა „ლა განტუაზს“ უკვე გაუსწრეს „სტანდარდმა“ და ბრიუსელის „ანდერლექტმა“. მათს გარდა, ბელგიური ფეხბურთის ტრადიციულ ელიტას კიდევ ორი ცნობილი კლუბი მიეკუთვნება: „ლოკერენი“ (აქ თამაშობს ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი ლატო), რომელიც ახლა მეოთხეა და თითქმის არა აქვს ჩემპიონობის პრეტენზია, აგრეთვე ქვეყნის ექს-ჩემპიონი „ფკ ბრიუგე“, თუმცა მას ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტურით ადრე სერიოზულად ემუქრება მეორე ლიგაში გადასვლა.

ამრიგად, ჩემპიონობის პრეტენდენტი ახლა ორია: „სტანდარდი“ და „ანდერლექტი“.

უკანასკნელი ცნობით ბელგიის ჩემპიონატში გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. ლიეჟის „სტანდარდი“ შეხვდა „გენტს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. „სტანდარდი“ კვლავინდებურად ლიდერობს 40 ქულით. ამავე ტურში „ანდერლექტმა“ შინ წააგო „მოლენბეკთან“ და ლიდერს ჩამორჩება 3 ქულით.



ევროპის თასების თასის მფლობელი თბილისის „დინამო“